საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
N 20648

1. სახელწოდება

სამადლო, ნაქალაქარი

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	საქართველო; მცხეთა-მთიანეთი; მცხეთა; ძეგვი
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
2.2 გეოგრაფიული /იტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	შიდა ქართლი
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	

მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	
არქეოლოგიური	+
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. სტატუსი და კატეგორია

სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	ობიექტი სტატუსის გარეშე
სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის #	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე
კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	
დოკუმენტის #	თავდაპირველი	

დოკუმენტის #	ამჟამინდელი	
რეესტრის #		
რეესტრში შეტანის თარიღი		

5. აგების თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

ბრინჯაოს ხანა _ ძვ. წ. მე-4-2 ათასწლეულები >>გვიანბრინჯაოს ხანა-ძვ. წ. მე-16-11 სს.; რკინის ხანა ძვ.წ. მე-10-6 სს.>>ადრე რკინის ხანა ძვ. წ. მე-10-8 სს.; ანტიკური ხანა _ ძვ. წ. მე-5 - ახ. წ. მე-3 სს.>>ადრეანტიკური _ ძვ.წ. მე-5-4 სს.,გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანა; ადრე ანტიკური პერიოდი.

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
რელიგიური	რელიგიური, რიტუალური>>სამაროვანი/პანთეონი/სასაფლაო;	რელიგიური, რიტუალური>>სამაროვანი/პანთეონი/სასაფლაო;
სათავდაცვო	სათავდაცვო >>ცალკე მდგომი კოშკი;	სათავდაცვო >>ცალკე მდგომი კოშკი;
საერო	სამოსახლო/ურბანული>>ნაქალაქარი;	სამოსახლო/ურბანული>>ნაქალაქარი;

7. საკუთრება (მესაკუთრე/ მესაკუთრეები)

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	
სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

სამადლოს ნაქალაქარი მდებარეობს სოფ. ძეგვის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ორ ბორცვზე. XX ს. პირველ ნახევარში აქ მოიპოვებდნენ კერამიკულ თიხას, რამაც ნაქალაქარი საგრძნობლად დააზიანა. სამადლო მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია. პირველად აქ სამოსახლო გაჩენილა აღმ. ბორცვზე ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში. XIV-VII სს. აქ მდგარა თიხით შელესილი ძელური ნაგებობები, რომლებშიც აღმოჩნდა თიხის მინიატურული ჭურჭელი, საბეჭდავები, შესაწირი ,,ბორბლები“ და სხვ. მკვლევარებს აფიქრებინებს, რომ საქმე საკულტო დანიშნულების ნაგებობებთან უნდა გვქონდეს. ძვ.წ. VI-IV სს. ამავე აღმოსავლეთის ბორცვზე უკვე ნატეხი ქვითა და თიხის ხსნარით ნაგები შენობებია აშენებული. კედლები არმირებულია ხის ძელებით. მათგან გამოსაყოფია 14 კვ.მ ფართობის კოშკი, რომლის საძირკველი ქვითაა ნაგები, კედლები კი - ალიზით და რომელიც აქემენიდური ხანის კოშკური ტიპის ტაძრების მსგავსია. იგი ძვ.წ. IV-III სს. დანგრეულა, მაგრამ მალევე აღუდგენიათ და ქალაქის დანგრევამდე - ძვ.წ. II საუკუნემდე უარსებია. ძვ.წ. IV-II სს. სამადლო ქალაქია. ორივე ბორცვი მჭიდროდაა დასახლებული. იგი ქალაქის შიდაციხეა მძლავრი საფორტიფიკაციო, სასახლის ტიპისა და სატაძრო ნაგებობებით. სამადლოს დასავლეთი ბორცვი დატერასებულია. გამოვლენილ იქნა საფეხურებად განლაგებული 7 ხელოვნური ტერასა, რომლის საყრდენი კედლები აგებული რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და თიხის ხსნარით. გამაგრებულია გარდიგარდმო და გასწვრივ დატანებული ძელებით და ოთხკუთხა კონტრფორსებით. კედლები შელესილია ბზენარევი თიხით. საყრდენ კედლებს უკან სივრცე შევსებული და მოსწორებულია ქვის ღორღით და გადალესილია თიხით. ამგვარად მომზადებულ სუბსტრუქციაზე აგებულია ალიზის შენობები. სუბსტრუქციათა სისქეში ხშირად მოწყობილია სარდაფის ტიპის სათავსები. სამადლოს ნაგებობათა უმეტესობა ნაშენია ალიზით. შენობები გადახურულია დიდი ზომის წითლად შეღებილი კრამიტით. კრამიტი სამნაირია: ბრტყელი, გვერდებაკეცილი, ღარისებრი და სპეციალური კეხის ღარისებრი. ზოგიერთი კრამიტის ზედაპირზე დაბეჭდეულია რიცხვების მნიშვნელობის ბერძნული ასო-ნიშნები. სამადლოზე იდგა ასევე თლილი ქვით ნაგები შენობები. კირქვის შედარებით მცირე ზომის ქვათლილები ერთმანეთზე ზოგჯერ ტყვიის გამირებით იყო გადაბმული. არქიტექტურული ფორმის დეკორის ელემენტებიდან შემორჩენილია მხოლოდ გვიანდელი აქემენიდური ხანისათვის დამახასიათებელი კირქვის რელიეფის ორი ფრაგმენტი, რომელზეც გამოსახულია ცხენოსანი გარეულ თხაზე ნადირობის დროს. სამადლოს ერთ-ერთ ტერასაზე გაითხარა ძვ.წ. IV-III სს. მიჯნის სამარხი აკლდამა, რომლის კედლები 2 მ სიმაღლემდე აგებულია რიყისა და ნატეხი ქვით და ხის ძელებითაა შეკრული, ზემოთ კი ალიზისაა. გადახურვა ძელური იყო, სახურავი - კრამიტის. აკლდამაში იდგა ხის ორი სარკოფაგი. მათგან ერთში შვიდი მიცვალებული იყო დაკრძალული, მეორე კი გაეძარცვათ. აღნიშნული აკლდამა 1912 წ. გამოვლენილი სამაროვნის სიახლოვესაა აგებული. სამაროვანზე გაითხარა თაბაშირით შელესილი ხის სარკოფაგები. მათგან ერთში 500-მდე ოქროს ნივთი აღმოჩნდა. სამადლო ელინისტურ ხანაში ორჯერ დანგრეულა და დამწვარა. ერთხელ ძვ.წ. III ს. დასაწყისში, მეორედ კი - ძვ.წ. II ს. 70-იან წლებში, რის შემდეგაც ცხოვრება აქ თანდათანობით შენელდა და იმავე საუკუნის ბოლოსთვის საბოლოოდ ჩაკვდა. სამადლოზე გათხილი ნაქალაქარი და არქეოლოგიური მასალა მეცნიერებს ავარაუდებინებს, რომ ძვ.წ. III-II სს. სამადლო, შესაძლოა, მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენციაც ყოფილიყო. სამადლოზე აღმოჩენილი მასალა მრავალფეროვანი და დახვეწილი ფორმებისაა. დიდ ჭურჭელზე ხშირია მხედართა ნადირობის სცენები ირმებზე და სხვა ცხოველებზე, ასევე ცხოველთა მსვლელობა, მამაკაცთა ფერხულის გამოსახვა.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1 ზოგადი შეფასება

დანგრეული

9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

ამჟამად სამადლოს ნაქალაქარის ტერიტორია დაფარულია მინდვრის მცენარეული საფარით. ზედაპირულად რაიმე ნაგებობის კვალი არ იკვეთება.

9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	ადგილობრივი პირობები, რომლებიც გავლენას ახდენს ფიზიკურ სტრუქტურაზე
ადამიანის ზემოქმედება	
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4 მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები:

ეროზიამ და გამოქარვის პროცესმა შესაძლოა გამოიწვიოს კულტურული ფენების დაზიანება.

10. მითითება ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/სააღრიცხვო ბარათი	/ 2
უახლესი და საარქივო გრაფიკული მასალა	
უახლესი და საარქივო ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	
საარქივო წყაროები	

11. მითითებები ძეგლთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაზე

დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
ძეგლში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	
სხვა დოკუმენტები	

12. დამატებითი ინფორმაცია

X კოორდინატი: 41.85925793; Y კოორდინატი: 44.57970502; სწორია

13. ბარათის შემდგენელი

ქეთევან დიღმელაშვილი

14. ბარათის შედგენის თარიღი

2015-01-18